CPV –კოდი 64113000

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №06/2018-01

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2018 წლის 02 ივნისს. ქ.თბილისში

ერთის მხრივ - შემსყიდველი - აარპ "სპორტული კლუბი **MIA FORCE**" ს/კ 416 293 754 მისამართი: - თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ., ტელ. 577-52-08-00

საბანკო რეკვიზიტები: "სახელმწიფო ხაზინა", კოდი TRESGE22, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის **პავლე ჯუღელის სახით,**

ხოლო მეორეს მხრივ - მიმწოდებელი -: შპს „ინექს გრუპი" ს/კ №400 010 572

იურიდიული მისამართი: თბილისი, მეტროსადგურ "ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია, შენობა 1 სართული 1 **საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა №GE63CR0000000014723602 სს „ბანკი ქართუ" ბ/კ CRTUGE22

წარმოდგენილი მისი **დირექტორის - ბიორბი კაპანაძის სახით**

ერთის მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი** ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს საფოსტო/საკურიერო მომსახურება შემსყიდველის მიერ ინტენეტ-შესყიდვის საშუალებით შეძენილ საქონელს (შემდგომში - გზავნილი) და მოახდინოს მისი მიწოდება მოთხოვნილ მისამართზე ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. სამუშაოების ჩატარების წესი

2.1. ჩატარებულ სამუშაოებზე მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურეობის დეტალური აღწერა, შესრულებული სამუშაოების, ფასი და საერთო ღირებულება. გაწეულ მომსახურებაზე შემსრულებლის მიერ შედგენილი იქნება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.2. გზავნილების მიღებას აწარმოებს **აარპ "სპორტული კლუბი MIA FORCE"**-ს აღმასრულებელი დირექტორი ან მათ მიერ მინდობილი პირი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

3.1.1. ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურება.

3.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის გზავნილის გადაცემა ინტერნეტ-შესყიდვის განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.1.3. სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს გზავნილის მიუღებლობით ან დაზიანებით გამოწვეული ზიანი;

3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

3.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ფასი

4.1 ამ ხელშეკრულების სავარაუდო მთლიანი ღირებულება შეადგენს:

750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

4.2 ამ ხელშეკრულების პუნქტი 4.1-ში მითითებული თანხა სავარაუდოა და მისი მნიშვნელობა დაზუსტდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

4.3 ამ ხელშეკრულების №1 დანართში მითითებული ფასები მოცემულია 1 (ერთი) კილოგრამის ფარგლებში. სრულად შესაძლებელია ნანახი იქნეს შემსრულებლის ვებ-გვედზე **www.inex.ge/info.html/8** და წარმოადგინს ამ

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;
4.4. ამ ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემული ფასების გაზრდა დაუშვებელია, ამ ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში;

5. ხარისხი

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალიწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს
5.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ **50** კალენდარული დღის განმავლობაში.
6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
6.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.4. შესრულების თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების და/ან ამ ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების **0,1** %-ის ოდენობით.
7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის **0,1** %-ის ოდენობით.

8. სხვა პირობები

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ან მხარეთა მიერ თავის ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი გარემოება დადგება უფრო ადრე.
8.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 10 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.
8.3. ამ ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 კალენდარული დღით ადრე.

შემსყიდველის მხრიდან	შემსრულებლის მხრიდან
პაპლე ჯუღელი	გიორგი კაპანაძე

დანართი №1

2018 წლის 02 ივნისის №06/2018-01 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

აშშ - 1 (კგ)- 6,5 USD • Address: 2601B W. 6th St • Town / City: Wilmington • State: Delaware • Country: United States • Post Code (Zip): 19805 • Phone Number: 302 502 2455	საფრანგეთი - 1 (კგ) - 6,5 EUR • Address: 117 Bis Avenu du Colonel Fabien. bat: B. appart: 27 • Town / City: Villejuif • Region/Province: Il- de- France • Country: France • Post Code (Zip): 94800 • Phone Number: 0954622153
დიდი ბრიტანეთი - 1 (კგ) - 4,5 GBP • Address: 3 Station Place, Finsbury Park • Town / City: London • Region/Province: London • Country: United Kingdom • Post Code (Zip): N4 2DH • Phone Number: 02072635505	იტალია - 1 (კგ) - 3,5 EUR • Address: 6/7 Piazza Aldo Moro • Town / City: Bari • Region/Province: Bari • Country: Italy • Post Code (Zip): 70122 • Phone Number: 0805212229
გერმანია - 1 (კგ) - 6 EUR • Address: Industriestr. 6 • Town / City: Ettenheim - Altdorf • Region/Province: Baden-württemberg • Country: Germany • Post Code (Zip): 77955 • Phone Number: 07822 4224089	საბერძნეთი - 1 (კგ) -3 EUR • Address: 55 Menandrou Str. • Town / City: Athens • Region/Province: Atika • Country: Greece • Post Code (Zip): 10437 • Phone Number: 2122135300

ამანათის (გზავნილის) მიწოდების ადგილი თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ.

შემსყიდველის მხრიდან
პავლე ჯუღელი

მიმწოდებლის მხრიდან
გიორგი კაკანაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი 02.06.2018 წ.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის („ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“) შესაბამისად ვადასტურებ, რომ მე - პავლე ჯუღელი, ქვემოთ მითითებულ მიმწოდებელთან, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები,

მიმწოდებელი: შპს ინექს გრუპი ს/კოდი 400 010 572

ხელშეკრულება 06/2018-01

რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით:

ააიპ „სპორტული კლუბი - “MIA FORCE“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: პავლე ჯუღელი